შესაძლებლობების დოკუმენტი 2:

ღია მიღებისა და დაკავების ალტერნატივების შესაძლებლობები მთავრობებისთვის

რა არის დაკავების ალტერნატივები (ATD)?

ნებისმიერი კანონმდებლობა, პოლიტიკა ან პრაქტიკა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს თავშესაფრის მაძიებელს, იცხოვროს საზოგადოებაში, სადაც მისი გადაადგილების თავისუფლებაზე ვრცელდება გარკვეული პირობები და შეზღუდვები.

დაკავების ალტერნატივები არ უნდა გადაიქცეს დაკავების ალტერნატიულ ფორმებად, ან არ უნდა იყოს თავს მოხვეული იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს გამოშვების ან გათავისუფლების რაიმე პირობა. ისინი პატივს უნდა სცემდნენ მინიმალური ინტერვენციის პრინციპს და ყურადღება უნდა მიაქციონ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას.

თავშესაფრის მაძიებელთათვის თავისუფლება და გადაადგილების თავისუფლება ყოველთვის პირველი არჩევანია.

რატომ ალტერნატივები?

- საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, რომ დაკავება გამოყენებული იყოს როგორც უკიდურესი ზომა
- ალტენატივები თავიდან გვარიდებენ თვითნებურ დაკავებას
- დაკავების სასამართლო დავებთან და მაღალ კომპენსაციებთან დაკავშირებული ხარჯები მცირდება
- არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ დაკავება აჩერებს არალეგალურ გადაადგილებას
- დაკავებასთან შედარებით, ალტერნატივები მნიშვნელოვნად - 10-ჯერ იაფია
- ალტერნატივების შემთხვევაში თანამშრომლობა მდგრადია - დაახლოებით 80-95% შესაბამისობის დონით
- დაკავებულთათვის მიყენებული მოკლე- და გრძელვადიანი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანი თავიდან არის არიდებული
- უმჯობესდება ნდობა და თანაარსებობა თავშესაფრის მაძიებლებსა და მიმღებ თემებს შორის

ალტერნატივები მუშაობს მაშინ, როდესაც თავშესაფრის მაძიებლებსა და სხვა მიგრანტებს:

1. ეპყრობიან ღირსეულად, ჰუმანურად და პატივისცემით შესაბამისი საიმიგრაციო პროცედურების განმავლობაში;
2. მიეწოდებათ ნათელი და გასაგები ინფორმაცია მათი უფლება-მოვალეობებისა და დაუმორჩილებლობის შედეგების შესახებ ალტერნატიული დაკავებისას;
3. შეეთავაზებათ იურიდიული კონსულტაცია კანონიერად დარჩენის ყველა გზის შესახებ;
4. ხელი მიუწვდებათ ადექვატურ მატერიალურ მხარდაჭერაზე, საცხოვრებელსა და მიღების სხვა პირობებზე; და
5. შეეთავაზებათ მათზე მორგებული დარიგება ან მათი საქმის მართვის სერვისები.

1. მიღების პროცესის მართვა

სკრინინგი

პირველი ხაზის ოფიცრებმა - ისეთი, როგორიც არის პოლიციის ან საიმიგრაციო უწყებები - დაკავების ან გაშვების შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება უნდა დააფუძნონ დეტალურ და ინდივიდუალურ შეფასებაზე, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო სამართალთან. სკრინინგის ან შეფასების სათანადო ინსტრუმენტებს შეუძლია დაეხმაროს გადაწყვეტილების მიმღებებს განსაკუთრებული კატეგორიის თავშესაფრის მაძიებელთა და სხვა მიგრანტთა სპეციალური გარემოებების ან საჭიროებების გათვალისწინებაში.

ზამბიაში, ახალი სახელმძღვანელო პრინციპები - "*ზამბიაში მოწყვლადი მიგრანტების დაცვის დახმარება*", მიმართულებას აძლევს "პირველი კონტაქტის" თანამშრომლებს, როგორიცაა საიმიგრაციო სამსახურის თანამდებობის პირები, პოლიციის ოფიცრები, სოციალური კეთილდღეობის, ჯანდაცვისა და ციხის ოფიცრები და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლები, მოახდინონ მოწყვლადი მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებლების იდენტიფიცირება. პირველადი გასაუბრებისას გამოყენებული "მიგრანტის ანკეტირების ფორმა" ეხმარება დადგინდეს, ხვდება თუ არა პირი ჩამოთვლილიდან ერთ-ერთ კატეგორიაში: თავშესაფრის მაძიებელი, ტრეფიკინგის მსხვერპლი (მათ შორის, ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლი ან ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი), მზრუნველობის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი ან დაცილებული ბავშვი (UASC), ჩარჩენილი მიგრანტი, მოქალაქეობის არმქონე პირი ან სხვა მოწყვლადი მიგრანტი. დაცვის მომსახურების მიმწოდებელ აქტორებთან და სხვა სამართლებრივ პროცესებზე გადამისამართება ხდება კონკრეტული საქმის მიხედვით. რეგულარულად ხორციელდება შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული მოქმედებები დაცვის მიმართ სენსიტიური პროცესებისა და პროცედურების აღსრულების ხელშესაწყობად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში *რისკების კლასიფიცირების შეფასების (RCA)* ინსტრუმენტის მეშვეობით, მიღების მომენტში ხდება ინდივიდუალური პატიმრობის შეფასება. ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: გაქცევის რისკი, საფრთხე საზოგადოებისთვის, განსაკუთრებული მოწყვლადობა (მათ შორის, ფეხმძიმობა, წამების მსხვერპლნი და წინა დევნის მსხვერპლნი). ყველა ფაქტორს ინფორმირების დანიშნულება აქვს, თუმცა ბევრ შემთხვევაში არ ადგენს დაკავების ან გაშვების გადაწყვეტილებას. დაკავებულთათვის რისკების კლასიფიცირების შეფასება (RCA) იძლევა ინფორმაციას მთლიან დაკავებულ პოპულაციაში მათი უსაფრთხოების კლასიფიკაციის შესახებ.

გაერთიანებულ სამეფოში *აღსრულების ინსტრუქცია* და *გზამკვლევი* იწყება დროებითი მიღების ან გაშვების პრეზუმფციის სასარგებლოდ და, სადაც შესაძლებელია, უპირატესობას ანიჭებს დაკავების ალტერნატივას და არა დაკავებას. გზამკვლევი მიუთითებს თანამდებობის პირებს, დაკავების ნებართვის გაცემამდე გაითვალისწინონ დაკავების ყველა გონივრული ალტერნატივა. მოცემულია ფაქტორების მთელი ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების წარმართვისთვის, მათ შორის ისეთები, როგორიცაა პირის მიერ წინა გათავისუფლების პირობების დარღვევის ან მიმალვის მტკიცებულება, დამორჩილების ისტორია, გაერთიანებულ სამეფოში არსებული კავშირები, თავშესაფრის ან სხვა პროცედურების ეტაპი, წამების ისტორია ან გონებრივი ან ფიზიკური ავადმყოფობა, ან ქვეყნიდან გაძევების ალბათობა.

ევროკავშირის მიღების პირობების დირექტივა 2013/33/EU ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თავშესაფრის მაძიებლის დაკავება არის უკიდურესი ზომა, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ აუცილებლობისას, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, და წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ, დაკავებამდე გამოიკვლიონ ყველა არასაპატიმრო ალტერნატივა. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ სიფრთხილის გამოჩენა, რომ არა-განმცხადებლის ბრალეულობით დაგვიანებული ადმინისტრაციული პროცედურები არ ამართლებდნენ დაკავების გახანგრძლივებას.

დაკავების დროული განხილვა

დაკავების გადაწყვეტილების განსახილველად სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე დროულად წარდგენის უფლება მნიშვნელოვანი პროცედურული დაცვის მექანიზმია. ასეთი განხილვა უნდა იყოს ავტომატური და პირველი ინსტანცია უნდა გაიაროს თავშესაფრის მაძიებლის ან სხვა მიგრანტის დაკავების გადაწყვეტილებიდან 24-48 საათში. განმხილველი ორგანო უნდა იყოს პირველადი დამკავებელი უწყებისგან დამოუკიდებელი და უნდა ჰქონდეს გათავისუფლების ბრძანების ან გათავისუფლების პირობის შეცვლის გამოცემის ძალაუფლება. შემდგომი განხილვები უნდა შედგეს 7 დღის შემდეგ ერთ თვიანი ვადის მიღწევამდე და შემდგომ, ყოველ თვეს, მაქსიმალური ზღვარის ამოწურვამდე. თავშესაფრის მაძიებელსა და მის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს უფლება დაესწროს ამ განხილვებს.

კანადის სასაზღვრო სამსახურს, საზღვრის, იმიგრაციისა და საბაჟო სერვისების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ფედერალურ სააგენტოს აქვს დისკრეციული უფლება პირობით ან უპირობოდ გაათავისუფლოს პირები ადმინისტრაციული

პატიმრობიდან, მათ შორის თავშესაფრის მაძიებლები, როგორც წესი, დაკავებიდან 48 საათის ვადაში ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ. თუ პირი ამ ვადაში (48 საათში) არ გათავისუფლდება, მაშინ იმიგრაციისა და ლტოლვილთა საბჭოს იმიგრაციის სამმართველოს, რომელიც არის დამოუკიდებელი განმხილველი ორგანო, წევრი ჩაატარებს განხილვას 48 საათის ვადაში ან დაუყოვნებლივ მის შემდეგ. დაკავების შემდგომი განხილვა მოხდება 7 დღის შემდეგ და შემდგომ, ყოველ 30 დღეში, ვიდრე იმიგრაციის სამმართველო არ დარწმუნდება დაკავების საფუძვლების არარსებობაში. იმიგრაციის სამმართველო განიხილავს დაკავების საფუძვლებს, რათა დარწმუნდეს, რომ პირი არ არის დაკავებული საკმარისი მიზეზების გარეშე, და რომ გარემოება, რომელმაც შედეგად გამოიღო დაკავება, კვლავ არსებობს.

ლიტვის პოლიციის/საზღვრის დაცვის მიერ დაკავებული თავშესაფრის მაძიებლები არ შეიძლება დაკავებულნი იყვნენ 48 საათზე მეტი ხნით სასამართლოს განჩინების გარეშე. პოლიციას/საზღვრის დაცვას მოეთხოვება მიმართოს ადგილობრივ სასამართლოს დაკავების 48 საათზე მეტი ხნით გასაგრძელებლად ან დაკავების ალტერნატივის დასაკისრებლად. ადგილობრივ სასამართლოს შეუძლია დაკავების გაგრძელება, პირის გათავისუფლება ან დაკავების ალტერნატივის გამოყენების დავალდებულება. თავშესაფრის მაძიებელს, ან სახელმწიფოს, შეუძლია გადაწყვეტილების გასაჩივრება ლიტვის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. დაკავების განკარგულებების შემდგომი განხილვები უფლებას აძლევს თავშესაფრის მაძიებელს ისარგებლოს იურიდიული დახმარებით.

გაერთიანებულ სამეფოში, სავალდებულო ადმინისტრაციული განხილვა ხელმისაწვდომია იმიგრაციისთვის დაკავებული ყველა პირისთვის დაკავებიდან 24 საათში, შემდგომ მე-7 დღეს, მე-14 დღეს, 28-ე დღეს და შემდეგ ყოველ თვე. განხილვა უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციის მზარდად მაღალი თანამდებობის პირების მიერ და ისინი უნდა აცნობიერებდნენ გახანგრძლივებული დაკავების სერიოზულობას. სასამართლოსთვის წარდგენილი განაცხადი გირაოთი გათავისუფლების შესახებ, ისევე, როგორც ადმინისტრაციული გადაწყვეტილების სასამართლო განხილვა, ხელმისაწვდომია ყოველთვის, თუმცა ის არ არის ავტომატური და დაკავშირებულია რიგ შეზღუდვებთან.

ავსტრიაში, უცხოელთა და თავშესაფრის საკითხთა ფედერალური სამსახური, (Bundesamt für Fremdenwesen und Asul) საკუთარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე (*ex officio*), ყოველ ოთხ კვირაში იხილავს დაკავების პროპორციულობას და შეუძლია გადაწყვიტოს დაკავების ალტერნატივის გამოყენება. ოთხი თვის შემდეგ, განხილვის პასუხისმგებლობა აქვს ფედერალურ

ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც აკონტროლებს დაკავების კანონიერებას საკუთარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე (*ex officio*). სასამართლო განხილვის მოთხოვნა ხელმისაწვდომია მთელი პროცედურის მანძილზე.

დაკავების მაქსიმალური დროის ზღვარი და ავტომატური გათავისუფლება

ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული დაკავების მაქსიმალური ვადა თვითნებური და უსასრულო დაკავების წინააღმდეგ დაცვის მექანიზმია. დაკავების მაქსიმალური ვადის ბოლოს, პირი ავტომატურად უნდა გათავისუფლდეს. დაკავების მაქსიმალური ვადის გვერდის ავლა არ შეიძლება გათავისუფლების ისეთი ბრძანებით, რომელსაც მოჰყვება პირის ხელახალი დაკავება იმავე საფუძვლით, გათავისუფლებიდან მალევე.

ირლანდია
21 დღე

საფრანგეთი
45 დღე

ბელგია
2 თვე

პორტუგალია
60 დღე

ესპანეთი
60 დღე

დაკავების ალტერნატივის გასაჩივრების უფლება

ვინაიდან დაკავების ალტერნატივები მეტ-ნაკლებად მოიცავენ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, ისინიც ასევე უნდა ექვემდებარებოდნენ პერიოდულ განხილვას სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რათა დროთა განმავლობაში მოხდეს დაკისრებული შეზღუდვების მინიმიზაცია, მხოლოდ აუცილებლამდე დაყვანა.

კანონიერი ყოფნა და დოკუმენტირება

დოკუმენტირება რჩება თვითნებური დაკავებისა და ხელახალი დაკავების წინააღმდეგ დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად. მათ, ვისაც ევალებათ თავიანთი პასპორტების ან სხვა სამგზავრო დოკუმენტების ჩაბარება როგორც ყოფნის ერთ-ერთი პირობა, ესაჭიროებათ შემცვლელი დოკუმენტი.

1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის 27-ე მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მათ ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი თავშესაფრის მაძიებელი ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, რომელიც არ ფლობს მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს, უზრუნველყოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა.

კოსტა რიკაში თავშესაფრის ყველა მაძიებელს ენიჭება დროებითი სამართლებრივი სტატუსი მათი თავშესაფრის განაცხადის შესწავლის პერიოდში და მიგრაციის სამსახურის ლტოლვილთა განყოფილება მათზე გასცემს დროებით საიდენტიფიკაციო დოკუმენტს. თუ სტატუსის დადგენის პროცედურას დაჭირდება სამ თვეზე მეტი, თავშესაფრის მაძიებელს შეუძლია მიიღოს ახალი დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია, რომ მის მფლობელს აქვს მუშაობის უფლება.

მალაიზიის გენერალური პროკურორის 2005 წლის ინსტრუქციები საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელებისთვის ხელს უწყობს თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების თავიდან არიდებას, ვინაობისა და სტატუსის გადამოწმების გზით. იმიგრაციის საფუძვლით დაკავების მომენტში, პირველი ხაზის ოფიცრებს, როგორიცაა პოლიციისა და საიმიგრაციო ოფიცრები, შეუძლიათ დაკავებული პირის ვინაობისა და სტატუსის გადამოწმება მონაცემთა ბაზაში ან სატელეფონო ცენტრის მეშვეობით (რომელიც მოიცავს ცხელი ხაზის მომსახურებას); ორივე იმართება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მიერ. თუ პირი რეგისტრირებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატში, ხდება მისი გათავისუფლება. უწყებებს აქვთ თოთხმეტი (14) დღე რათა განახორციელონ გადამოწმების ეს პროცესი. თუ დაკავებულ პირს არ შეუძლია წარმოადგინოს თავისი UNHCR-ის დოკუმენტი, მას შეუძლია დამკავებელ ოფიცერს მიაწოდოს თავისი UNHCR-ის საიდენტიფიკაციო ნომერი და ელემენტარული ბიო-მონაცემები, რომელიც მოიცავს დაბადების თარიღს, მშობლების სახელებსა და დაბადების ადგილს.

კანონიერ წარმომადგენლობასა და იურიდიულ დახმარებასთან წვდომა

კანონიერი წარმომადგენლობა და, სადაც ხელმისაწვდომია ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისთვის, უფასო იურიდიული დახმარება ეხმარება დაკავებულს, გაიგოს და ისარგებლოს საკუთარი უფლებებით და შეამციროს თვითნებური დაკავების შემთხვევები.

ევროკავშირის მიღების პირობების დირექტივა 2013/33/EU ითვალისწინებს დამოუკიდებელ და უფასო იურიდიულ დახმარებას და წარმომადგენლობას გასაჩივრებისას ან დაკავების განხილვისას, იმ შემთხვევაში, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი ვერ ფარავს ამ პროცედურებთან დაკავშირებულ ხარჯებს, ან როდესაც ასეთი დახმარება აუცილებელია სასამართლოსთან ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ასეთ სამართლებრივ დახმარებასთან წვდომის საკითხები მოცემული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში.



იაპონიაში, იმიგრაციის ბიუროს, იაპონიის ლტოლვილთა ფორუმსა (FRJ) და იაპონიის იურისტთა ასოციაციების ფედერაციას (JFBA) შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შედეგად, ჩამოყალიბდა თავშესაფრის სისტემის გაუმჯობესების ახალი ჩარჩო, რომელიც ასევე მოიცავს თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების საკითხს. როგორც დაკავების ალტერნატივის საპილოტე პროექტის ნაწილი, იმიგრაციის ბიურო იდენტიფიცირებულ საქმეებს მიმართავს იაპონიის ლტოლვილთა ფორუმში. დასაშვები პირები მოიცავს მათ, რომლებსაც პოტენციურად შეიძლება მიენიჭოთ დროებითი თავშესაფრისთვის ჩამოსვლის ნებართვა, პირობითი გათავისუფლება ან პირობითი დარჩენის უფლება. ასეთი საქმეების განხილვის შემდეგ იაპონიის ლტოლვილთა ფორუმი ახდენს საცხოვრებლის იდენტიფიცირებასა და ნიშნავს საქმის მმართველს. იაპონიის ლტოლვილთა ფორუმი აწვდის ისეთ დახმარებას, როგორიცაა ფსიქოლოგიური კონსულტაცია და განათლებასა და ჯანდაცვაზე წვდომის უზრუნველყოფა; იაპონიის იურისტთა ასოციაციების ფედერაცია თავშესაფრის მაძიებლებს აწვდის უფასო იურიდიულ დახმარებას.

საქმის მართვა

საქმის მართვა არის სტრატეგია, რომელიც სტატუსის გარკვევის პროცესში გამოიყენება პირთა დახმარებისა და მათი თავშესაფრის ან მიგრაციის სხვა მოთხოვნის მართვისთვის და რომლის მიზანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება, სტატუსის დროულად და სამართლიანად დადგენა და შეგუების მექანიზმისა და პირთა კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საუკეთესო რჩევები:

- საქმის მმართველები უნდა დაინიშნონ თავშესაფრისა და იმიგრაციის პროცესის ადრეულ ეტაპზე და იმოქმედონ სტატუსის გარკვევამდე ან დეპორტაციამდე;
- ინფორმაციის აქტიური გაცვლა მნიშვნელოვანია;
- საქმის მმართველები შეიძლება იყვნენ სოციალური მუშაკები, თუმცა, რიგ საკითხებში, შეიძლება წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი;
- თანამშრომელთა მოქცევის წესები და სხვა რეგულაციები, რომლებიც მათ საქციელს ეხება, იცავს ბოროტად გამოყენებისგან.

შვედეთში, რეგისტრაციის შემდეგ, თავშესაფრის მაძიებელს ენიშნება საქმეზე მომუშავე ორი პირი. საქმეზე მომუშავე პირველი პირი პასუხისმგებელია თავშესაფრის პროცესზე: ის განმცხადებელთან ატარებს გასაუბრებებს

თავშესაფრის მოთხოვნის გამოსაკვლევად და ამზადებს გადაწყვეტილებას, რომელსაც შემდეგ იღებს შვედეთის მიგრაციის სააგენტოს აღმასრულებელი ოფიცერი. საქმეზე მომუშავე მეორე პირი განმცხადებელს ეხმარება ყოველდღიური ყოფითი საკითხების გადაჭრაში (დღიური შემწეობა, განსაკუთრებული შემწეობა, სკოლა, საცხოვრებელი, და ა.შ.), ამისამართებს მას სამედიცინო მომსახურების მისაღებად, კონსულტაციისთვის ან სხვა მომსახურებისთვის, საჭიროების შემთხვევაში. იგი განთავსებულია განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლოს მდებარე მიმღებ დაწესებულებაში და მისი მოვალეობა ასევე მოიცავს განმცხადებლის ინფორმირებას შვედეთის მიგრაციის სააგენტოს ან მიგრაციის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. საქმეზე მომუშავე ეს მეორე პირი ასევე უზრუნველყოფს "მოტივირებულ კონსულტაციას", რომლის მიზანია თავშესაფრის მაძიებლის მომზადება მიგრაციის ყველა შესაძლო შედეგისთვის და, თავშესაფართან დაკავშირებული უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაუმორჩლებლობის რისკის შეფასება. დაბრუნების პროცესში ის უზრუნველყოფს დაბრუნების განსახილველად ფორმალიზებულ კონტაქტს.

საქმეზე მომუშავეთა ეს სისტემა ითვლება შვედეთიდან ნებაყოფლობით გამგზავრებაზე პოზიტიური გავლების მქონე ფაქტორად. მაგალითისთვის, 2012 წელს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა 65%-მა (ანუ 12,988 პირი), რომლებსაც დაევალათ დაეტოვებინათ შვედეთი, ეს გააკეთეს აღსრულების გარეშე.

ბელგიაში, როგორც ბავშვიანი ოჯახებისთვის "ღია ოჯახის ერთეულის" ნაწილი, საქმის მართვა ხდება "დამრიგებლის" ფორმით. მიმაგრებული "დამრიგებელი" არის იმიგრაციის ოფისიდან და ადგილზე იმყოფება ყოველდღიურად, რათა დაეხმაროს პირებს თავშესაფრის ან იმიგრაციის საქმეში. დამრიგებლები ასევე განიხილავენ ბელგიაში დარჩენის ყველა სამართლებრივ შესაძლებლობას, ეხმარებიან უკან დაბრუნებისთვის მომზადებაში და ხელს უწყობენ პირთა წვდომას იურიდიულ დახმარებასთან. დამრიგებელი ასევე ნიშნავს შეხვედრებს (ექიმთან, სკოლაში, უფასო ადვოკატთან, და ა.შ.) და უზრუნველყოფს, ან ხელს უწყობს, ლოჯისტიკურ, ადმინისტრაციულ და სამედიცინო დახმარების მიწოდებას ოჯახებისთვის.

2. ღია მიღება და დაკავების ალტერნატივები

საზოგადოებაში ცხოვრება მუშაობის ან/და სოციალური უფლებებით

საუკეთესო რჩევები:

- საუკეთესო მიდგომაა საზოგადოებაში, კერძო საცხოვრებელში დამოუკიდებლად ცხოვრება.
- საქმეზე მომუშავე პირი ეპყრობა თავშესაფრის მაძიებლებს ღირსეულად, საშუალებას აძლევს მათ იცხოვრონ "ნორმალური ცხოვრებით" და ახდენს იმიგრაციის პირობებთან დაუმორჩილებლობის მინიმიზაციას.
- მუშაობის უფლების არარსებობის შემთხვევაში, საჭიროა სოციალური დახმარების სათანადო დონე.
- მიმღები სახელმწიფოს მიერ მინიჭებული მუშაობის უფლება ხელს უწყობს დამოუკიდებლობას და ამაღლებს პირის შესაძლებლობას იყოს თვით-კმარი, ისევე როგორც გაუძლოს და კონსტრუქციულად ჩაერთოს თავშესაფრის ან/და მიგრაციის პროცესებში.
- საცხოვრებლის არჩევანის შესაძლებლობა საშუალებას იძლევა, გათვალისწინებული იყოს პირთა და მათი ოჯახების კონკრეტული მდგომარეობა.

ჩილეში, თავშესაფრის მაძიებლის მიერ თავშესაფრის განაცხადის წარდგენისთანავე მასზე გაიცემა განახლებადი დროებითი ყოფნის ნებართვა რვა თვის ვადით და მუშაობის უფლებით. შინაგან საქმეთა და საჯარო უსაფრთხოების სამინისტროს სოციალურ საქმეთა დეპარტამენტსა და UNHCR-ის პარტნიორ ორგანიზაციას, ქრისტიანული ეკლესიების სოციალური დახმარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ორგანიზებულია ყოვლისმომცველი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა ინტეგრაციას ადგილობრივ სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში. პროგრამა მოიცავს შემდეგს: თავშესაფრის მაძიებლისა და თანმხლები ოჯახის წევრების დახმარება, ლტოლვილთა ინტეგრაციის სქემა, და სერვისები მოწყვლადი და განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე პირებისათვის. დახმარების პროგრამა, განსაკუთრებით, მიზნად ისახავს, თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში, მოიცვას ელემენტარული საჭიროებები, კონკრეტულად კი საკვები, საცხოვრებელი (მათ შორის ავეჯი), საბუთები და ტრანსპორტი. განმცხადებლის ჩილეში ყოფნის პირველი სამი თვის მანძილზე ის იღებს სრულ დახმარებას. მიღებული ოდენობა მცირდება 75%-მდე სამი თვის შემდეგ და 50%-მდე ექვსი თვის შემდეგ. დახმარება ჩვეულებრივ წყდება თორმეტი თვის შემდეგ, თუმცა შემსრულებელმა სააგენტომ შეიძლება მოითხოვოს, რომ სოციალურ საქმეთა დეპარტამენტმა გააგრძელოს დახმარება განსაკუთრებული გარემოებების გამო.

ღია საცხოვრებლის შესაძლებლობების ქსელი

ახალმა ზელანდიამ და ევროპის ქვეყნებმა - დანიამ, ფინეთმა, ირლანდიამ, პორტუგალიამ, ესპანეთმა და შვედეთმა განავითარეს ღია საცხოვრებელი ცენტრების ძლიერი კულტურა, რომელიც შეიძლება იყოს ბინების ერთობლიობა ან სპეციალურად აშენებული ცენტრი, რომელსაც ხშირად ეძახიან მიმღებ ცენტრებს, რომლებშიც შესაძლებელია ადგილზე რიგი სერვისების მიწოდება და სადაც ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად მისვლა და წასვლა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, უწევთ მათ საქმეზე მომუშავე პირთან შეხვედრა რეგულარულად. ხანდახან ეს არის, მაგალითად, კომუნალური საცხოვრებელი, საერთო საცხოვრებლის ან საერთო სასადილოს სტილის დაწესებულება. სხვა ადგილებში ეს არის სამზარეულოს მქონე, თვითკმარი ბინის მსგავსი დამოუკიდებელი საცხოვრებელი.

საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრება საქმეზე მომუშავე პირის დახმარებით

2006 წლის შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო სოციალური მომსახურების ჰონგ კონგის განყოფილება (ISSHK) მართავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამას, რომელიც ჩინეთში, ჰონგ კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში, ლტოლვილებსა და წამების თაობაზე განაცხადის წარმდგენებს ("არ-გაძევების მომთხოვნებს") ეხმარება იცხოვრონ საზოგადოებაში მათი საქმის განხილვის მიმდინარეობის განმავლობაში.

საერთაშორისო სოციალური მომსახურების ჰონგ კონგის განყოფილება ეხმარება არ-გაძევების მომთხოვნებს მოიძიონ საზოგადოებაში კერძო საცხოვრებელი; მათი არჩევანი უნდა იყოს ყოველთვიური დასაშვები ქირის ფარგლებში. საერთაშორისო სოციალური მომსახურების ჰონგ კონგის განყოფილება ფარავს ქირის ყოველთვიურ ხარჯებს და პერიოდულად ახორციელებს საცხოვრებელი სტანდარტების ინსპექტირებას. ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი, მათ შორის საერთაშორისო სოციალური მომსახურების ჰონგ კონგის განყოფილების ზედამხედველობის ქვეშ არსებული თავშესაფრები, ხანდაზმულთა სახლები, გადაუდებელი აუცილებლობის სასტუმრო სახლები, ნაქირავები ბინები, სახელმწიფო დაწესებულებები და კერძო ბინები. უფლება-მოვალეობის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება პირსა და საერთაშორისო სოციალური მომსახურების ჰონგ კონგის განყოფილებას შორის. პირის მდგომარეობისა და ისტორიის საგულდაგულო ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო სოციალური მომსახურების ჰონგ კონგის განყოფილება ასევე უზრუნველყოფს საკვებს, ტანსაცმელს, პირადი ჰიგიენის ნივთებს, სამედიცინო დახმარებას და განათლებას ბავშვებისთვის. ამ ყოველივეს მიწოდება ხდება თავად ამ დახმარების სახით.

ჰონგ კონგის იმიგრაციის დეპარტამენტი (HKID), თავის მხრივ, გასცემს ყოველთვიურად განახლებად ფოტოსურათიან ცნობას, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროცესის შესაბამისად წარდგენილ განაცხადს და პირის ჰონგ კონგში დარჩენის უფლებას. არ-გაძევების ყველა მომთხოვნს ევალება პირადად გამოცხადდეს ჰონგ კონგის იმიგრაციის დეპარტამენტში თვეში ერთხელ ან როგორც ეს იქნება ჩანიშნული. გამოუცხადებლობა დაუმორჩილებლობის ტოლფასია და შედეგად მოყვება გამოძიება და შესაძლო დაკავება.

გამოცხადება

საუკეთესო რჩევები:

- გამოცხადების სიხშირე არ უნდა იყოს საჭიროზე მეტი და უნდა მცირდებოდეს დროთა განმავლობაში.
- გამოცხადების ფორმები უნდა იყოს ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებებისთვის (მაგალითად, ტელეფონით გამოცხადება).
- გამოცხადების პირობები უნდა გადაიხედოს პერიოდულად.
- დაუმორჩილებლობის თავიდან ასარიდებლად, გამოცხადების ადგილები უნდა იყოს კომფორტული და ხელმისაწვდომი.
- სხვადასხვა უწყებებში გამოცხადებას - მაგალითად, სოციალურ მუშაკთან - შეუძლია განმეორებითი ტრავმირების თავიდან არიდება (მაგალითად, პოლიციის ნაცვლად).
- დაუმორჩილებლობის მიზეზები უნდა იყოს სათანადოდ შეფასებული და, თუ არსებობს დაგვიანების სათანადო ახსნა, გარკვეული მოქნილობა უნდა იყოს გამოყენებული.

შვედეთში, დაკავებას დაქვემდებარებულ პირთა ზედამხედველობის განხორციელება შეუძლია შვედეთის მიგრაციის სააგენტოს ან შვედურ პოლიციას. ზედამხედველობის განკარგულების ფარგლებში პირი ვალდებულია, გამოცხადდეს პოლიციის დაწესებულებაში ან შვედეთის მიგრაციის სააგენტოში გარკვეულ დროს. იმისთვის, რომ ეს იყოს რაც შეიძლება კომფორტული იმ პირებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან ზედამხედველობას, გამოცხადება შეიძლება მოხდეს პოლიციის განყოფილებაში /შვედეთის მიგრაციის სააგენტოს ოფისში, რომელიც მდებარეობს პირის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს. პირს შეიძლება ასევე მოეთხოვოს ჩააბაროს საკუთარი პასპორტი ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტი. ზედამხედველობის ან დაკავების გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება ნებისმიერ დროს.

ტელეფონით გამოცხადება

გამოცხადების ვალდებულება, რომელიც თავშესაფრის მაძიებლებს ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, შეიძლება დაკმაყოფილებული იყოს ტელეფონით გამოცხადებით. ტექნოლოგიას ფლობს და მართავს აშშ-ს მთავრობის

კერძო კონტრაქტორი. პირებს შეუძლიათ "წარდგნენ" აშშ-ს იმიგრაციის აღმასრულებელ უწყებებში ტელეფონით, კონტრაქტორის ხმის ბიომეტრული ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. დარეკვის სიხშირე დამოკიდებულია შეფასებულ რისკზე და შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს პირის საქმის ეტაპის შესაბამისად. თუ პირი არ დარეკავს შესაბამისი ინტერვალებით, შეიძლება მოხდეს პირის აყვანა გამოცხადების სხვა დონეზე, ან პირი შეიძლება დაექვემდებაროს განმეორებით დაკავებას.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გირაო და საზოგადოებრივი ზედამხედველობა

კანადის საზღვრის მართვის სააგენტოსა და არაკომერციულ ორგანიზაციას, ტორონტოს გირაოს პროგრამას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ეს უკანასკნელი მოქმედებს იმიგრაციისას დაკავებულთა, მათ შორის ლტოლვილთა და გაძევების მოლოდინში მყოფ პირთა მხარდასაჭერად, რათა მოხდეს მათი გირაოთი გათავისუფლება დაკავებიდან. ტორონტოს გირაოს პროგრამა ასრულებს თავდების როლს იმ პირთათვის, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახი ან სხვა უფლებამოსილი გარანტორი თანხის გადახდისთვის და ამ ფორმით ის თავიდან არიდებს ფინანსურ დისკრიმინაციას, რომელიც გირაოს სისტემის თანმდევია. ტორონტოს გირაოს პროგრამის თანახმად, არ ხდება გადახდა, არამედ თავშესაფრის მაძიებლის გათავისუფლება ხდება ამ პროგრამის გარანტიის საფუძველზე. ტორონტოს გირაოს პროგრამა ატარებს გასაუბრებებს ზედამხედველობისთვის კანდიდატთა შესაბამისობის შესაფასებლად.

თავშესაფრის მაძიებელი ნებაყოფლობით თანხმდება ითანამშრომლოს ტორონტოს გირაოს პროგრამასთან და ყველა საიმიგრაციო პროცედურასთან, მათ შორის ტორონტოს გირაოს პროგრამის მიერ დადგენილ გამოცხადების/ანგარიშის ჩაბარების პირობებთან, და ასევე თანხმდება კანადიდან გამგზავრებაზე, თუ თავშესაფრის ან იმიგრაციის განაცხადზე იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება მიღებული. ტორონტოს გირაოს პროგრამასა და თავშესაფრის მაძიებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ეს უკანასკნელი თანხმდება გამოცხადდეს ყველა ჩანიშნულ შეხვედრაზე, შეატყობინოს ტორონტოს გირაოს პროგრამას მისამართის ცვლილების შესახებ და მონაწილეობა მიიღოს მნიშვნელოვან ღონისძიებებში კანადაში ყოფნისას (მაგალითად: განათლება, პროფესიული სწავლება, სამუშაო). გამოცხადების მოთხოვნა როგორც წესი მცირდება ტორონტოს გირაოს პროგრამასა და თავშესაფრის მაძიებელს შორის ნდობის ჩამოყალიბების შემდეგ. თუ პირი არ დაემორჩილება გამოცხადების ვალდებულებას, შედეგად შეიძლება ტორონტოს პროგრამის მიერ პროვინციის უწყებების ინფორმირება მოხდეს, რომლის დროსაც პირზე გამოიცემა კანადის მასშტაბით დაპატიმრების ორდერი. ტორონტოს გირაოს პროგრამა ღიად აცხადებს, რომ გამოცხადების მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობას შეუძლია შედეგად გამოიღოს დაკავების ადგილზე დაბრუნება.

2012-2013 წლის მანძილზე, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი 415 პირიდან 95.1% სრულად დაემორჩილა პროგრამას. ტორონტოს გირაოს პროგრამის წარმატება ნაწილობრივ დაკავშირებულია საქმის მართვასთან, რომელიც ასევე მოიცავს დასაწყისში ყოვლისმომცველ ორიენტაციას. ტორონტოს გირაოს პროგრამის თანამშრომლები პირს აწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიიღოს სამართლებრივი, ფსიქო-სოციალური და ჯანდაცვის სერვისები ონტარიოში.

გირაო თავდებობის უზრუნველყოფის შესაძლებლობით

საუკეთესო რჩევები:

- გირაოსთან დაკავშირებული მოსმენები სასურველია იყოს ავტომატური.
- გირაოზე წვდომა განსაკუთრებით რთულია ბევრი თავშესაფრის მაძიებლისთვის მათი მოწყვლადი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე; შესაბამისად, სასურველია გამოყენებულ იქნეს მცდელობები, რომლებიც მოახდენენ ფინანსური დაბრკოლებების მინიმუმამდე დაყვანას.
- გარანტორები ან თავდები პირები შეიძლება უფრო ხელმისაწვდომი იყოს თავშესაფრის მაძიებლისთვის, ვიდრე ფინანსურად თანხის გადახდა.
- გარანტორებისა და თავდები პირების შემოწმება უნდა მოხდეს სათანადოდ, რათა თავიდან იქნას აცილებული თავშესაფრის მაძიებელთა ან სხვა მიგრანტთა ექსპლუატაცია.
- ზოგადი ინფორმაცია გირაოს, ადვოკატებისა და სამართლებრივი დახმარების საჭიროებების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მრავალ ენაზე და კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით (მაგ: დაკავების დაწესებულებებში ვიდეო ეკრანები ან ბროშურები), და ა.შ.

გაერთიანებულ სამეფოში გირაო ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში, დაკავების პირველი 8 დღის განმავლობაში; მოთხოვნა უნდა წარედგინოს იმიგრაციის ოფიცერს, რომელიც რანგით არ არის უფროსი საიმიგრაციო ოფიცრის თანამდებობაზე ნაკლები. 8 დღის შემდეგ გირაოს მოთხოვნა შესაძლებელია საიმიგრაციო მოსამართლისგან. არსებობს რიგი გამონაკლისები.

გირაოს გზამკვლევი მომზადებული იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც წარმართავენ იმიგრაციის ან თავშესაფრის შესახებ მოსმენებს, ავალებს მათ გაითვალისწინონ: (ა) პირის დაკავების მიზეზი ან მიზეზები; (ბ) დაკავებიდან მოცემულ თარიღამდე გასული დრო და მისი მოსალოდნელი სამომავლო ხანგრძლივობა; (გ) დაკავების ხელმისაწვდომი ალტერნატივები, მათ შორის პირთან დაკავშირებული ნებისმიერი გარემოება, რომელიც კონკრეტულ ალტერნატივას ხდის შესაბამისს ან შეუსაბამოს; (დ) დაკავების გავლენა პირზე და მის ოჯახზე; და (ე) პირის მიერ გირაოს პირობებზე დამორჩილების ალბათობა. დაკავებულ თავშესაფრის მაძიებლებს შეიძლება მოეთხოვოთ წარმოადგინონ თავდები, პირი, რომელიც დათანხმდება იყოს გირაოს პირობების დამორჩილებაზე პასუხისმგებელი. ეს მოთხოვნა არაავტომატურია: სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თუ პირები ახალი ჩამოსულები არიან ქვეყანაში შეიძლება არავინ ჰყავდეთ, ვისგანაც მათ ექნებათ თავდებობის მოლოდინი. თუ არ არსებობს გონივრული საფუძვლები იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ განმცხადებელმა შეიძლება გამოიჩინოს დაუმორჩილებლობა, თავმდები პირი არ არის აუცილებელი.

გირაოს სახელმძღვანელო პრინციპები და მისი დანართები დამატებით აღწერს გირაოს პირობებს, რომელთა დაკისრებაც შესაძლებელია. ისინი ნათელს ხდიან, რომ პირობების სიმკაცრე უნდა განსხვავდებოდეს განმცხადებლის გარემოებების მიხედვით და საჭირო მონიტორინგის დონის მიხედვით. ასევე მოცემულია მითითება, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსური ვალდებულების ოდენობის დადგენა.

გარანტორის ან თავმდების უზრუნველყოფა

ლიტვაში უცხოელთა შესახებ კანონი ითვალისწინებს უცხოელთა გათავისუფლების შესაძლებლობას, მათ მზრუნველობით მინდობას ლიტვის მოქალაქისთვის ან ნათესავისთვის, რომელიც კანონიერად ცხოვრობს ლიტვაში. ეს გარანტორი პასუხისმგებლობას იღებს, იზრუნოს და დაეხმაროს ტერიტორიაზე მყოფ მიგრანტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლებლობა არასდროს ყოფილა გამოყენებული თავშესაფრის მაძიებლის მიმართ, ის გამოყენებული იყო სხვა უცხოელთა მიმართ რამდენიმე შემთხვევაში. უცხოელები იყვნენ გათავისუფლებულნი, მაგალითად, ეკლესიის ან საქველმოქმედო ორგანიზაციის ზრუნვის ქვეშ.

მიმართული ბინადრობა (directed residence) კონკრეტულ მისამართზე ან ადმინისტრაციულ რეგიონში, სტატუსის დადგენამდე

გერმანიაში მოქმედებს თავშესაფრის მაძიებლის განაწილების სისტემა, სადაც ყოველწლიურად ითვლება ქვოტა თითოეული ფედერალური მიწის ერთეულისთვის (Länder), მათი გადასახადის მიღებისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ("Koeningsteiner Quota"). თავშესაფრის მაძიებლის განაწილება ხდება საწყის მიმღებ ცენტრში, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი დისტრიბუციის სისტემის, "EASY"-ს, მეშვეობით.

საუკეთესო რჩევები:

- განაწილების ნებისმიერმა სისტემამ უნდა გაითვალისწინოს მომთხოვნის და მისი ოჯახის ისეთი პირადი მდგომარეობა, როგორიც არის ოჯახური ან დიასპორული კავშირები, განსაკუთრებული მხარდაჭერის ან სერვისის საჭიროება, ბავშვის საუკეთესო ინტერესი, და ა.შ.
- ოჯახის ერთი ან მეტი წევრის ქვეყნის სხვა ნაწილში ხელახალი განაწილებისას, შეიძლება წარმოიშვას (ფინანსური) კომპენსაციის მექანიზმების გამოყენების საჭიროება მონაწილე ტერიტორიულ ერთეულებს შორის (მიწის მესაკუთრე, რეგიონები, და ა.შ.).
- მიმართული ბინადრობა არ უნდა ლახავდეს გადაადგილების თავისუფლების უფრო ფართო უფლებას, საჭიროა გარკვეული მოქნილობა.
- მითითებული საცხოვრებელი არ უნდა გრძელდებოდეს სტატუსის აღიარების შემდეგ.

პირისთვის საცხოვრებლის მიკუთვნება დამოკიდებულია: მიღების არსებულ შესაძლებლობაზე 22-დან ერთ-ერთ საწყის მიმღებ ცენტრში, თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაზე, ოჯახის ერთ-ერთი ძირითადი წევრის (მეუღლე, ბავშვები, ან თავშესაფრის მაძიებელი ბავშვების შემთხვევაში - მათი მშობლები) ყოფნაზე გერმანიის ცალკეულ შტატში. გერმანიაში სხვა ნათესავების ყოფნის შემთხვევებში, თავშესაფრის მაძიებელს შეუძლია განაცხადი შეიტანოს და მოითხოვოს სხვა ფედერალური მიწის ერთეულში (Länder) განაწილება.

ეგრეთწოდებული "ქალაქი შტატების" (city state) (როგორიცაა ბერლინი, ჰამბურგი და ბრემენი, სადაც პირების პირდაპირი გადანაწილება ხდება კოლექტიურ განსახლების ცენტრებში ან კერძო საცხოვრებლებში) გარდა, თავშესაფრის მაძიებლები გერმანიაში, როგორც წესი, მინიმუმ 6 კვირით რჩებიან საწყის მიმღებ ცენტრში (IRC), სადაც არა-ფულადი დახმარების სახით მიეწოდებათ ელემენტარული საჭიროებები. ამ ცენტრებში იძულებითი განსახლება სრულდება თუ თავშესაფრის მაძიებელს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი ან დროებითი დაცვა; თუ მას მიენიჭა ბინადრობა გერმანიაში ქორწინების საფუძველზე; თუ მან მიიღო დეპორტაციის სავალდებულო ბრძანება, რომლის აღსრულებაც შეუძლებელია განჭვრეტად მომავალში; ან, ნებისმიერ შემთხვევაში, თავშესაფრის განაცხადის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვისა. შემდეგ, თავშესაფრის პროცედურის წარმატებით დასრულების მოლოდინში მყოფი თავშესაფრის მაძიებლები, როგორც წესი, გადაიგზავნებიან ღია კოლექტიურ განსახლების ცენტრებში, რომლებსაც მართავენ კერძო კომპანიები ან საქველმოქმედო ორგანიზაციები მინუციპალიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე, ან კერძო საცხოვრებელში.

დაკავების ალტერნატივა დაბრუნების კონტექსტში

საუკეთესო რჩევები:

- არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაკავების ალტერნატიულ ფორმაში მყოფი, უარყოფილი თავშესაფრის მაძიებლებისა და არალეგალურ სიტუაციაში მყოფი მიგრანტების მხარდაჭერა მათ ღირსეულ და ნებაყოფლობით დაბრუნებაზე ზრუნვით.
- წარმოშობის ქვეყანაში ნებაყოფლობითი დაბრუნების ან რეინტეგრაციის მხარდაჭერა შეიძლება ფინანსური დახმარებით ან სხვა ფორმით.
- დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება იყოს საჭირო მოწყვლადი ან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

ნიდერლანდებში, დაკავების რამდენიმე ალტერნატივა არსებობს, როგორც სახელმწიფოს დაბრუნების პოლიტიკის ნაწილი. როდესაც ფასდება დაკავების ალტერნატივის საჭიროება, რეპატრიაციისა და გამგზავრების სერვისი (Repatriation and Departure Service) და პოლიცია განიხილავენ შემდეგ ფაქტორებს: დაბრუნების პერსპექტივები, უცხოელის სურვილი აქტიურად იმუშაოს დაბრუნებისთვის, მიმალვის რისკი და ნებისმიერი ახალი ფაქტი ან მოვლენა

უცხოელის პირად მდგომარეობაში. თუ უცხოელს ურჩევნია დაბრუნებაზე იმუშაოს არასამთავრობო ორგანიზაციასთან და არა რეპატრიაციისა და გამგზავრების სერვისთან, ეს უკანასკნელი თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ყოველწლიურად, რეპატრიაციისა და გამგზავრების სერვისი იღებს განაცხადებს გრანტებზე იმ ადგილობრივი ინიციატივებისათვის რომლებიც მიმართულია დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა საქმის მართვა ან ფინანსური ან სხვა ფორმის ნივთიერი დახმარება დაბრუნების შემდეგ.

შეიძლება გამოყენებული იყოს მონიტორინგის სხავდასხვა ზომები, რომლებიც განსხვავდება ინტენსიურობით, ხანდახან კომბინაციაშიც. მაგალითად, ასეთი ზომები შეიძლება მოიცავდეს რეგულარულად გამოცხადების/ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას, რეპატრიაციისა და დაბრუნების სერვისის დახმარებასთან კომბინაციაში დაბრუნებისათვის მოსამზადებლად, უსაფრთხოების დეპოზიტის გადაცემას ფინანსური მდგომარეობის შეფასების მიხედვით, პოლიციაში დოკუმენტების დეპონირებას ან მიმართული ბინადრობის საკითხს.

დაბრუნების პოლიტიკაში ყურადღება ეთმობა მოწყვლად ჯგუფებს, როგორიცაა ოჯახები, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ან დაცილებული ბავშვები, ხანდაზმული პირები ან შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირები, სამედიცინო ან ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პირები. მაგალითისთვის, ფეხმძიმე ქალებს უფლება აქვთ დაბრუნება გადაავადონ მშობიარობამდე ექვსი კვირიდან მშობიარობის შემდგომ ექვს კვირამდე და მათ ეძლევათ კანონიერი საცხოვრებელი, თავშესაფარი და მზრუნველობა ამ პერიოდში.

შესაძლებლობები მთავრობებისთვის მზრუნველობის საკითხებზე და დაკავების ალტერნატივებზე ოჯახებისა და ბავშვებისთვის, იხილეთ შესაძლებლობების ფურცელი 1, UNHCR-ი 2015; ხელმისაწვდომია: http://refworld.org/docid/5523e8d94.html

სტანდარტები, რომლებიც მოცემულია ამ შესაძლებლობების ფურცელში აღებულია დოკუმენტიდან UNHCR-ის *სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო კრიტერიუმებსა და სტანდარტებზე, რომლებიც დაკავშირებულია თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასა და დაკავების ალტერნატივებთან,* 2012; ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/503489533b8.html

ეს შესაძლებლობების ფურცელი 2 ხელმისაწვდომია: http://refworld.org/docid/5523e9024.html

შესაძლებლობებზე მთავრობებისათვის მზრუნველობის საკითხებსა და დაკავების ალტერნატივებზე ბავშვებისა და ოჯახებისთვის, იხილეთ შესაძლებლობების ფურცელი 1, რომელიც ხელმისაწვდომია: http://refworld.org/docid/5523e8d94.html

UNHCR
The UN Refugee Agency

მომზადებულია Oak ფონდის მხარდაჭერით

© გლუკ, 2015

დამატებითი ინფორმაციისთვის:

www.unhcr.org/detention